ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3930933

ნომერი: AR1593499

თარიღი : 17.04.2018

გაცემის თარიღი : 26.04.2018

გაცნობის თარიღი : 26.04.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი წერეთელი , N126;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გია ჭანჭალეიშვილი პ/ნ 01019000423
- მარჯანიშვილის ქუჩა 16 კორპ 2

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი რეკონსტრუქცია
- შენობა-ნაგებობის ფასადისა და სახურავის სარემონტო და მოპირკეთებითი სამუშაოები, როცა ხდება ფერის ან მასალის ცვლილება რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ– ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:

1. მოთხოვნის ტექსტში დააკონკრეტეთ საკადასტრო გეგმის ნუმერაციის მიხედვით რომელ შენობას უტარდება სარეკონსტრუქციო სამუშაოები ან ატვირთეთ საკადასტრო გეგმა საპროექტო ადგილის მონიშვნით. გარდა ამისა, ვინაიდან მოთხოვნის ტექსტიდან და წარმოდგენილი ფოტომონტაჟის მიხედვით ირკვევა, რომ იგეგმება არსებული გაზის მილის გადატანა, საჭიროა წარმოადგინოთ შესაბამისი სამსახურის თანხმობა აღნიშნულთან დაკავშირებით.

2. "არსებული სიტუაციის ფოტოსურათები -> ..ფოტოსურათების pdf ფაილი" - არსებულ ფოტოზე და საპროექტო ფოტომონტაჟზე დაიტანეთ სახურავის და პარაპეტის კეხის ნიშნულები.

3. "ფოტომონტაჟი -> ..ფოტომონტაჟის pdf ფაილი" - წარმოდგენილი ფოტომონტაჟის მიხედვით გვერდით ფასადზე ღიობების მოწყობით ირღვევა მიჯნის ზონა. გაითვალისწინეთ: „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების მე-10 და მე-11 მუხლების თანახმად: მიწის ნაკვეთის მიჯნის ზონაში განთავსებულად ითვლება შენობა ან მისი ნაწილი, რომელიც სამეზობლო საზღვრიდან 3.0 მეტრზე ნაკლები მანძილით არის დაშორებული. შენობის საანგარიშო ზედაპირის ან მისი ნაწილის განთავსება მიწის ნაკვეთის მიჯნის ზონაში დასაშვებია სამეზობლო საზღვრის მხარეს ღიობის, ასევე აივნის, ერკერის და ტერასის გარეშე. შესაბამისად, მიჯნის ზონის დარღვევას, მომიჯნავე მიწის ნაკვეთის მესაკუთრის თანხმობით, მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს. შესაძლებელია მოეწყოს მინაბლოკი. გარდა ამისა, ასევე ხდება ამავე ფასადზე არსებული მრიცხველების გაუქმება, რისთვისაც წარმოსადგენია შესაბამისი სამსახურის თანხმობა, წინააღმდეგ შემთხვევაში აღნიშნული მრიცხველები დაფიქსირდეს ფოტომონტაჟზე. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით წარმოსადგენია განახლებული ფოტომონატჟი, ყველა მსალის, გაბარიტული ზომის და ნიშნულების დატანით.

4. "ფაილის მიმაგრება -> "ფაილი მიამაგრეთ სურვილის შემთხვევაში" -გაურკვეველია განმცხადებლის უფლებამოსილების საკითხი. სამსახურს წერილობითი დასტურის გაცემის მოთხოვნით უნდა მომართოს მიწის სამშენებლო სამუშაოებით დაინტერესებულმა მესაკუთრემ ან მოსარგებლემ, ან მათმა უფლებამოსილმა წარმომადგენელმა. შესაბამისად, წარმოსადგენია განმცხადებლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი. ასევე, საჭიროა წარმოდგენილი იქნას შპს მუხას მეორე დირექტორის თანხმობა ან მეორე დირექტორი დარეგისტრირდეს თანაგანმხცადებლად.

5. ვინაიდან წარმოდგენილი ფოტომონტაჟის მიხედვით კიბე და საყვავილე ეწყობა საკადასტრო საზღვრის გარეთ თვითმმართველი ერთეულის მიწის ნაკვეთზე, საჭიროა წარმოადგინოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს თანხმობა.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად. თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.